Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 8 Issue 2, 2026
https://doi.org/10.52340/gs.2026.08.02.64

მართლმსაჯულების ფსიქოანალიზი და გაუმჯობესების პერსპექტივები (კორუფციული მოტივაციის ტრანსფორმაცია)

გიორგი გოროშიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სტატიაში ნაცადია დანაშაულებრივი ქცევის შედეგებზე იურიდიული სფეროსთვის დამახასიათებელი ინტენციის არასაკმარისობის ჩვენება, რომელიც ხელიდან უშვებს ამ შედეგების გამომწვევი მიზეზების გარკვევის შესაძლებლობას. ფსიქოლოგიის დარგს, რომელიც დაკავებულია ამ დანაშაულებრივი ქცევის მიზეზების გარკვევით, გააჩნია იმის რესურსები, რომ უფრო უკეთესად განმარტოს როგორც კანონდამრღვევი ქცევის ფორმირების გარემოებანი, ისე ამ ქცევის გამოსწორების მექანიზმები, რაც სამართლის სფეროსთვის მიუღწევადია. კორუფცია, როგორც დანაშაულებრივი ქცევის ერთ-ერთი სახეობა, სასამართლოშიც აღწევს მასში მყარი ბუნებრივი ტენდენციების არსებობის გამო. ეს ტენდენცია მდგომარეობს არჩევანის სიტუაციაში მეტი სარგებლიანობის მქონე ქცევის ალტერნატივის უპირატეს არჩევაში, რომელსაც ვერანაირი სადამსჯელო ღონისძიებები ვერაფერს დააკლებს, სანამ არ იქნება მიღწეული დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევი მოტივაციის ტრანსფორმაცია ნეგატიურიდან პოზიტიურამდე. კორუფცია ნეგატიური მოტივაციიდან მომდინარეობს, რომლის ტრანსფორმირებაც პოზიტიურ მოტივაციაში შეიძლება მხოლოდ ფინანსური დაჯილდოების ლეგალური მექანიზმის გამოყენებით მოხერხდეს. ასეთია მოსარჩელისგან მოსამართლისთვის **„ღირსეული ჰონორარის“** ლეგალური გადაცემა მოპასუხის მიერ მოსარჩელისთვის სასამართლოს მოთხოვნით გადაცემული ფინანსური კომპენსაციების მოცულობიდან, რაც მკვეთრად შეამცირებს სასამართლოში მოპასუხის კორუფციულ მანიპულაციებს.

საკვანძო სიტყვები: ფსიქოანალიზი, მართლმსაჯულება, მოტივაცია, ტრანსფორმაცია, ღირსეული ჰონორარი.

თანამედროვე მსოფლიო დიდი გამოწვევების წინაშე დგას მართლმსაჯულების სწორი, სამართლიანი და ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფის საკითხში. მისი ხარვეზები სხვადასხვა ქვეყანაში სპეციფიკური თავისებურებებით ვლინდება, მაგრამ არსებობს ამ სპეციფიკურ თავისებურებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც საერთოა მართლმსაჯულების ყველა სისტემისთვის. ეს ისეთი თავისებურებებია, რომლებიც ეყრდნობა ცოცხალი ბუნების ფუნქციობის ლოგიკას და ყველგან ერთი და იგივე სახით ავლენს თავს მისი დაფარვის მცდელობათა მიუხედავად; ამასთანავე აშკარაა, რომ მისი გაცნობიერება ვერც კი მოხდება, თუკი სპეცილურად კვლევა არ იქნება ჩატარებული.

საქმე ეხება იმ ფუნდამენტურ კანონზომიერებებს, რომლებითაც იმართება ადამიანთა ქცევები არჩევანის სიტუაციებში, რომელთა წინაშეც ყოველთვის დგება უკლებლივ ყველა ადამიანი და რომლებიც წარმოადგენენ ტიპიურ სიტუაციებს გადაწყვეტილების მიღებისა და მისი შესაბამისი მოქმედების განხორციელებისთვის. ზემოაღნიშნული აქტივობები ემსახურება ინდივიდთა სასიცოცხლო რესურსების ეფექტიან გამოყენებას, რომლებსაც, როგორც ცოცხალი ბუნების გამოვლინებებს, თავიანთი ბიოლოგიური ლოგიკა და მისი განხორციელების შესაბამისი მექანიზმები გააჩნიათ.

ისინი არის სასიცოცხლო ძალთა ეკონომიური ხარჯვის ლოგიკის (პრინციპის) მქონე მექანიზმები, რომლებიც განაპირობებენ დროში გახანგრძლივებულად ინდივიდების ფუნქციონირების სტაბილიზაციას. ეს ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბებული ისეთი მექანიზმებია, რომლებიც ინდივიდთა სიცოცხლის შენარჩუნების გარანტიებს ქმნიან და ამიტომ ცოცხალი არსებები ყოველთვის ამ მექანიზმების კარნახით მოქმედებენ. ზემოაღნიშნული მოქმედებების განხორციელება შესაძლებელი ხდება ისეთი ძლიერი მისწრაფებების ფორმირების შედეგად, რომლებიც მარტივად რამდენიმე სიტყვით აღიწერება - **„ნაკლები ძალისხმევის გაღებით მეტი სარგებლის მიღება“.** ცხოველები ამ წესს ინსტინქტურად მიჰყვებიან ზომიერების დაცვით, ხოლო ადამიანები მათი ტვინის მეტი განვითარებულობისა და მათი ქცევების ალტერნატივათა განუზომლად მეტი რაოდენობის გამო, ზომიერების დაცვას ხშირად ვერ ახერხებენ და დესტრუქციული პროცესებისკენ იხრებიან გაუმართლებლად მეტი სარგებლის მიღების მცდელობათა სასარგებლოდ. ამას თუ დავუმატებთ ფართოდ აღიარებული მეცნიერების **უილიამ ჯემსის და ზიგმუნდ ფროიდის** საყოველთოდ ცნობილ მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ ადამიანთა მრავალი სახის აქტივობას დიდწილად განსაზღვრავენ მათი ემოციები და ინსტინქტები, მაშინ სიტუაცია კიდევ უფრო პრობლემურ ხასიათს ღებულობს **[12], [7].** ამიტომ ხდება საჭირო ის, რომ საზოგადოებაში გამოყენებული იყოს ადამიანთა შორის ურთიერთობების მარეგულირებელი ისეთი კანონები, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებისთვის არის აუცილებელი და რომლებსაც მთელი მსოფლიოს ქვეყნების ხელისუფლებათა მიერ ენიჭებათ მათთვის მიუღებელ დესტრუქციულ ქმედებათა შემზღუდავი ფუნქციები. ასეთი შემზღუდავი სამართლებრივი წესებისა და

ნორმების არსებობა უკიდურესად აუცილებელია ადამიანთა ეფექტიანი სოციალური კოორდინაციისა და მისი შეუფერხებელი განვითარების მისაღწევად.

ადამიანთა ზემოაღნიშნული ქმედებები ყოველთვის სწარმოებს ისეთ გარემოში, სადაც მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის საჭირო რესურსები ყველასთვის საკმარისი არ არის ანუ საზოგადოებაში ისინი შეზღუდული რაოდენობით არსებობს. აქედან გამომდინარე, დაინტერესებულ პირთა მიერ მათთვის საჭიროზე მეტი ოდენობით ამ შეზღუდული რესურსების მოპოვება განაპირობებს სხვა პირთათვის საკმარისი ოდენობით ამ რესურსების მოპოვების შესაძლებლობის აღკვეთას, რაც მათ შორის კოორდინაციის მოშლას იწვევს და დაპირისპირებას, კონფლიქტებს წარმოშობს. ასეთი ნეგატივით დამძიმებულ სოციუმში ადამიანთა ერთობლივი საქმიანობის პოზიტიური სინერგია მცირდება, საერთო მიზნების მიღწევა ეჭვის ქვეშ დგება და ეროვნული ენერგიის ეფექტიანად გამოყენების პრობლემურობის გამო საზოგადოების ცხოვრების დონე ეცემა. საზოგადოებისთვის ამ არასასურველი ვითარების თავიდან აცილების ყველაზე უფრო ეფექტიან საშუალებებს წარმოადგენს ზნეობრივი ატმოსფეროს და სამართლიანობის გარემოს შექმნა; ასევე კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მექანიზმების გაუმჯობესება და კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობის ამაღლება სამართლიანობის ატმოსფეროს მიღწევისა და შენარჩუნების მიზნით. გადაჭარბებული სარგებლიანობის ლოგიკით მოქმედ ადამინთა ქცევის თავისებურება ყოველთვის თავს ავლენს საზოგადოებისთვის მიუღებელ ისეთ ცნობილ აქტივობებში, როგორებიცაა: მექრთამეობა, კორუფცია, ნეპოტიზმი და სხვ.

კორუფცია კომპლექსური სოციალური მოვლენაა და თავისი განმაპირობებელი ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები გააჩნია, რომლებიც, როგოც ზემოთ უკვე ითქვა, ცოცხალი ბუნების ფუნქციონირებისთვის არის დამახასიათებელი. უპირველეს ყოვლისა, ასეთ ფაქტორთა რიგს განეკუთვნება პრინციპი, რომლის კარნახითაც მოქმედებენ ცოცხალი არსებები და რომელიც **„ეკონომიურობის პრინციპის“** სახელით არის ცნობილი. ამ პრინციპის კარნახით იქმნება ადამიანთა ქცევებში მათი პირადი ინტერესების დაცვის მექანიზმები სხვათა ინტერესების გაუთვალისწინებლობის ფონზე, ხოლო როდესაც აქტუალური ხდება ერთობლივი საქმიანობის წარმოება, მაშინ საჭიროება მოითხოვს, რომ ერთობლივი საქმიანობა ცალკეულ ადამიანთა პირად ინტერესებზე არ იქნეს დაქვემდებარებული და დაცული იყოს ამის შემბოჭავი სამართლებრივი ნორმები. ე.ი. ადამიანთა ქცევები ეგოისტური მისწრაფებების ტყვეობაში უფრო იმყოფებიან, ვიდრე დაკავებულები არიან სხვა ადამიანების ინტერესებისთვის ანგარიშის გაწევით და ეს ყოველთვის არის გასათვალისწინებელი მისი ქმედებების რეალისტური შეფასებისას.

ქვეყნის განვითარებისთვის ხელის შემშლელ უმთავრეს ფაქტორს სწორედ კორუფცია წარმოადგენს მთელი თავისი მრავალფეროვნებით. კორუფცია შეუძლებელს ხდის ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი რესურსების დაგროვებას და გამოყენებას. ამიტომ კორუფციის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა უნდა იყოს გამართული, რათა

საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში დესტრუქციული და პათოლოგიური პროცესების შეჩერება მოხდეს. პირველ რიგში ქვეყანაში მუდმივად უნდა მუშაობდეს ამ დესტრუქციული, პათოლოგიური პროცესების ეფექტიანი პრევენციის მექანიზმები.
ხშირად ადამიანები გამორჩეული პრიორიტეტულობით ამჟღავნებენ დესტრუქციული ქმედებების განხორციელებისკენ სწრაფვას, ვინაიდან ისინი ძალიან „ეკონომიური“ და „ადვილი“ აქტივობებია. ადამიანის პიროვნული განვითარების საწყის ეტაპებზე ძირითადად სწორედ ასეთი ლოგიკით მოქმედებები აღინიშნება. ხშირად ზრდასრული ადამიანებიც არ არიან თავისუფლები ამ ტენდენციებისგან, რაც მათი დესტრუქციული ქმედებების განხორციელების ალბათობას მკვეთრად ამაღლებს. ამის გამო ადამიანთა სხვადასხვა პოპულაციებში მრავლდება დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც არაერთი შემბოჭავი მექანიზმის შემოღებას და ამოქმედებას მოითხოვენ. ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც სოციალურ პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება, არის **კონტროლი**. იგი კომპეტენტური პირების და ინსტიტუციების მიერ ხორციელდება. კონტროლი **მონიტორინგის და კორექციის** სინერგიული მოქმედებით უნდა სწარმოებდეს და მუდამ წესრიგში ამყოფებდეს საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროს. პირველ რიგში ეს ეხება მართლმსაჯულების სისტემას, სადაც ადამიანთა სადავო საკითხების გადაწყვეტა ხდება და რომელზეც მათ ხშირად დიდი იმედები აქვთ დამყარებული სხვა საშუალებების არარსებობის გამო. ამიტომ სასამართლოს მუშაობაში ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში იგი მკვეთრად არასახარბიელო შეფასებებს იმსახურებს. ასეთი შედეგების მომრავლება საბოლოოდ ხელს არ უწყობს საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას და შეიძლება პრობლემებსაც კი უქმნიდეს მთლიანად ქვეყანას.

მთავარი მოვლენა, რომელიც სასამართლოს მიმართ საზოგადოების უკმაყოფილების გამოწვევის ფაქტორად შეიძლება განიხილებოდეს, ეს არის საქმეების განმხილველი ზოგიერთი მოსამართლის მიერ მათთვის მინიჭებული დამოუკიდებლობის არასწორი გაგება და გამოყენება. ასეთ შემთხვევებში მოსამართლის ე.წ. „შინაგანი რწმენაც“ დიდი დაეჭვების საგანი ხდება და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არასახარბიელო შეფასებებს იწვევს. აღნიშნული ვითარების გამოსწორება მხოლოდ სამოსამართლო საქმისწარმოების წესების [2], კანონმდებლობისა და ასევე მონდომების საფუძველზე ვერ ხეხდება და ამიტომ აუცილებელია სამუშაო გარემოს ისეთი ტრანსფორმაცია, რომელიც უფრო რეალისტურს გახდიდა ზემოაღწერილი ვითარების გაუმჯობესების ამოცანის გადაწყვეტას. ასეთი ტრანსფორმაცია პირველ რიგში უნდა ეყრდნობოდეს მოსამართლის ქცევის წარმმართველ ისეთ ძლიერ ფაქტორს, როგორიცაა მოტივაცია და ლეგალურად მისი სწორად ამოქმედების განმსაზღვრელი ის პირობები, რომლებიც უკეთ გამოავლენს მოსამართლის დამოუკიდებლობის ჭეშმარიტ არსს.

სასამართლოს დამოუკიდებლობა ხშირად არასწორად გაიგება, როგორც სხვადასხვა სახის თვითნებობების და კანონდამრღვევი ქმედებების თავისუფლად, დაუსჯელად განხორციელების გარანტორი. მისი ასეთი არასწორი გააზრებიდან კანონდარღვევების

„ხელშეუხებლობის“ სამწუხარო ილუზია გამომდინარეობს, რომელიც გარკვეული ხიბლის შემცველია და ადვილად ექვემდებარება გავრცელებას. ხშირად არ ხდება იმის ხაზგასმა, რომ დამოუკიდებლობა მუდამ უნდა ფუნქციონირებდეს კანონმდებლობის ფარგლებში, რათა მისი არასწორი გამოყენება არ ხდებოდეს. დამოუკიდებლობამ რომ არ წარმოშვას უკონტროლო პროცესების განვითარების სტიმულები, საჭიროა ისეთი მექანიზმის შემუშავება და გამოყენება, რომელიც ამ ტვირთისგან თავისუფალი იქნება. ასეთის როლს კი წარმატებით შეასრულებს **კონტროლირებადი დამოუკიდებლობა**, რომელშიც კონტროლი და დამოუკიდებლობა დადებით სინერგიაში იმყოფებიან და სრულ თანხვედრაში არიან მოქმედ კანონმდებლობასთან. მათი ასეთი „სიმბიოზი“ მოიცავს დამოუკიდებლობის სრულ პოტენციალს და მაქსიმალურად გამორიცხავს დაუსჯელობის იმედით სხვადასხვა თვითნებობების განხორციელებას, როგორებიცაა: მექრთამეობა, კორუფცია, ნეპოტიზმი და სხვა მრავალი მანკიერება. სასამართლოს დამოუკიდებლობა ენიჭება მხოლოდ ზემდგომი ინსტანციისგან დამოუკიდებლად საქმიანობის წარმოებაში კანონმდებლობის ნორმების დაცვით, ხოლო თუკი ადგილი აქვს კანონების დარღვევას, მაშინ დამოუკიდებლობა ავტომატურად უნდა წყვეტდეს თავის მოქმედებას და ექცეოდეს ან ზემდგომი ან სამართალდამცავი ორგანოების სანქციების ქვეშ. ამიტომ **კონტროლირებადი დამოუკიდებლობა** წარმოადგენს უფრო ადეკვატურ და ეფექტიან მექანიზმს, რომელიც საუკეთესოდ პასუხობს სასამართლოს და მოსამართლეების წინაშე არსებული პრობლემების პოზიტიურად გადაწყვეტის ამოცანებს. კანონმდებლობის მიხედვით სასამართლოს დამოუკიდებლობა სრულებით არ იძლევა კანონდარღვევების ჩადენაში ხელშეუხებლობის გარანტიებს და ამიტომ გახსნილი უნდა იყოს მაკონტროლებელი **ადმინისტრაციის მიერ** განხორციელებული მაკორეგირებელი ჩარევების მიმართ. სხვა შემთხვევაში, როგორც ამას პრაქტიკა აჩვენებს, კორუფცია წალეკავდა სასამართლოს, ვინაიდან **„სადაც არ არის კონტროლი, ყველგან წარმოიშობა კორუფცია“.** ეს არის აქსიომა! ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსამართლის დამოუკიდებლობას განაპირობებს სასამართლოს ხელმძღვანელობის მიერ მისი მუშაობის გაკონტროლება კანონმდებლობასთან შესაბამისობის მისაღწევად.

რაც შეეხება სასამართლოს, რომელსაც დამოუკიდებლობა კანონით აქვს მინიჭებული, მასში საქმისწარმოების ადეკვატური და მიზანშეწონილი განვითარების მისაღწევად, მაკონტროლებელი ხელმძღვანელობის მხრიდან აქტიურ მაკორეგირებელ ჩარევებს საჭიროებს, რის შედეგადაც კანონმდებლობის ჩარჩოში ამ საქმიანობის მოქცევა და შენარჩუნება ხდება, რაც ჩვეულებრივ და აუცილებელ მოვლენად უნდა აღიქმებოდეს. აქედან გამომდინარე, თავისთავად ცხადად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სასამართლოში კანონდარღვევების (კორუფციის, მექრთამეობის და სხვ.) დაფიქსირების შემთხვევაში ან მის არსებობაზე საფუძვლიანი ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში დამოუკიდებლობა უნდა ითვლებოდეს ძალადაკარგულად. იგი ყოველთვის უნდა მოქმედებდეს მხოლოდ და მხოლოდ კანონის მოთხოვნათა სრულყოფილი დაცვის შემთხვევებში და ამიტომ მუდმივი გაკონტროლება ესაჭიროება მმართველი ინსტანციების მხრიდან. როდესაც

მოსამართლე არღვევს დადგენილ წესებსა და კანონებს, მისი დამოუკიდებლობა ავტომატურ გაბათილებას ექვემდებარება. ამდენად, მოსამართლის ხელშეუხებლობა მისი ნებისმიერი და მიუღებელი ქმედებების დროს უბრალოდ არის ის მითი, რომელიც შექმნილია წესებისგან და კანონებისგან გადახვევის ინტერესების მქონე პირთა მიერ და მხედველობაში მისაღები არც არის. სრული დამოუკიდებლობის მცდარი და დამაეჭვებელი გაგება მოსამართლისთვის შეუფერებელია და ამიტომ იგი ადეკვატურ და მიზანშწონილ კორექტირებას უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლოს ადმინისტრაციული მექანიზმების გამოყენებით.

ზოგადად, მოსამართლის დამოუკიდებლობა გამომდინარეობს კანონმდებლობაზე მისი დამოკიდებულებიდან და აბსოლუტურად დამოუკიდებელი იგი ვერასოდეს ვერ იქნება. როდესაც მოსამართლე არღვევს მოქმედ წესებს და კანონებს, იგი კარგავს თავის დამოუკიდებლობას და მისდაუნებურად ექცევა სადამსჯელო (ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი) სანქციების ზემოქმედების ქვეშ. ამრიგად, სასამართლოს დამოუკიდებლობა არანაირად არ განაპირობებს მოსამართლის ხელშეუხებლობას და სასამართლოს ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მის მიმართ ეფექტიანი სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსამართლეთა მითიური დამოუკიდებლობა არცერთი მათგანისთვის არ იძლევა მათ მიერ კანონდარღვევების ჩადენის შემთხვევებში „ინდულგენციების“ მიღების შესაძლებლობას.

სასამართლოში საპროცესო წესებით (პროცედურულად) უნდა იხილებოდეს დავის შინაარსობრივი საკითხები და არა იგივე პროცედურული საკითხები, რასაც ზოგჯერ ახორციელებენ საქმის განმხილველი მოსამართლეები. საქმის წარმოების ფორმალური მხარე არ უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც საქმის შინაარსობრივი ასპექტი და ისევ ფორმალურად განიხილებოდეს. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ მხოლოდ ფორმალური მექანიზმებით (პროცესუალური წესებით) საქმის ფორმალური ასპექტის განხილვა ემსახურება საქმის საგნობრივი განხილვის ჩანაცვლებას პროცედურული საკითხების განხილვით, რაც განაპირობებს სადავო საკითხის რეალური შინაარსისგან თავის არიდებას, მისგან აბსტრაგირებას და მომხდარი ფაქტებისთვის გვერდის ავლას. ამ გზით მიღებულ გადაწყვეტილებას კი რეალობასთან არავითარი კავშირი აღარ აქვს და ხშირად სრული აბსურდის სახესაც ღებულობს.

ზოგიერთი მოსამართლე გამიზნულად დაკავებულია მხოლოდ სადავო საკითხის ფორმალური ასპექტების განხილვით და თავად ამ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას გვერდს უვლის. იგი არც კი ეკარება არაერთხელ მოთხოვნილი მტკიცებულებების მოპასუხისგან გამოთხოვის საკითხს და მოპასუხის წარმომადგენლის მიერ სხდომაზე გაჟღერებულ ზეპირსიტყვიერ განცხადებას ამ მტკიცებულებათა არარსებობის შესახებ არაკანონიერად უცხადებს ნდობას მოპასუხისგან მტკიცებულებათა არარსებობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე, ხოლო მის გამოთხოვაზე მოსარჩელის შუამდგომლობებს არ აკმაყოფილებს. კანონდამრღვევი

მოპასუხე წლების მანძილზე მოსარჩელისთვის მტკიცებულებათა გადაცემის შესახებ წერილობითი მოთხოვნების არ დაკმაყოფილებით, ხოლო სასამართლოს მიერ მათ დაკმაყოფილებაზე უარის თქმით მოპასუხის დანაშაულებრივ საქმიანობას უქმნის „სასათბურე“ პირობებს, რითიც ხელს უშლის მოცემულ საქმესთან დაკავშირებით უწესრიგობის შენარჩუნებას და მართლმსაჯულების რეპუტაციის შელახვას ახდენს. საბოლოოდ ეს ყოველივე საზოგადოებას მძიმე შედეგებით უბრუნდება და ამიტომ საჭიროებს დიდ სიფხიზლეს, კანონიერ ოპერატიულ მოქმედებას და მიღწეული მართლწესრიგის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის მუდმივი ხელის შეწყობას. ვინაიდან სასამართლოს გააჩნია ხელისუფლების სახელით მოპასუხისგან საქმის არსებითი განხილვისთვის აუცილებელი მტკიცებულებების გამოთხოვის კანონით მინიჭებული უფლებმოსილება, ამიტომ მოსამართლემ ეს შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გაუშვას, თუკი იგი მიზანმიმართულად არ ცდილობს, რომ სადავო საკითხის განხილვის პროცესი წაიყვანოს კანონისთვის გვერდის ავლით. ის მოსამართლე, რომელიც კანონით მინიჭებულ ამ შესაძლებლობას პრინციპულად არ იყენებს და მოსარჩელის შუამდგომლობებს მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ ჯიუტად არ აკმაყოფილებს, ხოლო ამ მტკიცებულებათა გამოკვლევის გარეშე ისევ აგრძელებს საქმის განხილვის პროცესს, უდავოდ დაკავებული გამოდის საეჭვო საქმიანობით და წარმოშობს ვარაუდებს საქმის შედეგით მისი დაინტერესების შესახებ. ასეთი ქცევებით გამორჩეული მოსამართლე ადვილად უნდა ექვემდებარებოდეს მოცემული საქმის განხილვისგან მის აცილებას ან მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლებას კორუფციაში ეჭვმიტანილობის საფუძვლზე.

ქვეყნის განვითარების შემაფერხებელ უმთავრეს ფაქტორს კორუფცია წარმოადგენს თავის გამოვლინებათა დიდი მრავალფეროვნებით. პირველ რიგში ის ეწინააღმდეგება ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი რესურსების დაგროვებას და გამოყენებას. ამიტომ კორუფციის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა ყველა ქვეყნის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდა. კორუფცია საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროშია შეჭრილი და ყველგან დესტრუქციული, პათოლოგიური პროცესების განვითარებას ემსახურება. ამ მხრივ ყველაზე სენსიტიური სფერო სასამართლო სისტემაა, რომელიც საზოგადოებაში მართლწესრიგის შენარჩუნებისთვის თავისი დიდი მნიშვნელობის და ვალდებულების გამო ათასობით ადამიანს ემსახურება მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების აღკვეთისა და სოცალური ცხოვრების მოწესრიგების მიზნით. მისი ეს მისია ძალიან მნიშვნელოვანია, ძალიან საპატიოა და მუდამ ითხოვს მხარდაჭერას ამ კეთილშობილური მიზნების მიღწევის საქმეში. საზოგადოება, თავის მხრივ, ძალიან სენსიტიურია სასამართლოს საქმინობის მიმართ და კორუფციის შესახებ ვარაუდების და ფაქტების დაფიქსირების შემთხვევაში. ამიტომ აუცილებელია, რომ სასამართლო სისტემაში არანაირი ფორმით არ აღინიშნებოდეს კორუფცია და მასში მუდმივად მუშაობდეს ამ დესტრუქციული პროცესების ეფექტიანი პრევენციის მექანიზმები.

ადამიანები მუდამ გამორჩეული პრიორიტეტულობით ამჟღავნებენ დესტრუქციული ქმედებების განხორციელებისკენ სწრაფვას, ვინაიდან ისინი უფრო „ეკონომიური“ და „ადვილი“ აქტივობებია და სასურველი სარგებლის მიღების უკეთეს პერსპექტივებს აჩენს. ადამიანის განვითარების საწყის ეტაპებზე ძირითადად სწორედ მსგავსი ლოგიკის მქონე მოქმედებები აღინიშნება. ხშირად ზრდასრული ადამიანებიც არ არიან თავისუფლები ამ ტენდენციების გავლენისგან, რაც მათი დესტრუქციული ქმედებების განხორციელების ალბათობას მკვეთრად ამაღლებს. ამის გამო ადამიანთა სხვადასხვა პოპულაციებში მრავლდება ისეთი დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც არაერთი შემბოჭავი მექანიზმის შემოღებას და ამოქმედებას მოითხოვენ. ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც სოციალური ცხოვრების პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება, არის **კონტროლი**. იგი კომპეტენტური პირების და ინსტიტუციების მიერ ხორციელდება. კონტროლი **მონიტორინგის და კორექციის** სინერგიული მოქმედებით უნდა სწარმოებდეს და მუდამ წესრიგში ამყოფებდეს საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროს. პირველ რიგში ეს ეხება მართლმსაჯულების სფეროს მისი მართლწესრიგისა და სოციალური პროცესების სწორი კორდინაციის ვალდებულებათა აქტუალობიდან გამომდნარე. ამ მხრივ სასამართლოსთვის კანონით მინიჭებული დამოუკიდებლობა, თუკი სწორად იქნება იგი გამოყენებული, მნიშვნელოვანი წვლილის შემტანია საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ეს დამოუკიდებლობა ქვეყნის მართლმსაჯულებას დიდი ალბათობით შეიძლება გადაექცეს პრობლემად მასში კორუფციისთვის ხელშემწყობი ფაქტორების ამოქმედებისა და საზოგადოებაში სამართლიანობის უმიშვნელოვანესი იდეის დასამარების გამო, რაც მისი სწორი მიმართულებით განვითარების შეფერხების გამომწვევია.

როგორც პრობლემის განხილვიდან ჩანს, კორუფცია სასამართლოში მთელი თავისი მრავალფეროვნებით საქმის წარმოებისა და განხილვის შესახებ არსებულ არასწორ, მცდარ წარმოდგენებს ეყრდნობა, ადამიანთა მანკიერი აზროვნების წესით ხასიათდება, საეჭვო მოტივაციით გამოირჩევა და ამიტომ სიღრმისეულ გაანალიზებას ითხოვს. ისინი პირველ რიგში ფსიქიკის მოშაობის კანონზომიერებათა პოზიციებიდან უნდა აიხსნებოდეს. ეს იმიტომ, რომ ადამიანის ქმედებათა წყაროს (სათავეს) მისი ფსიქიკა წარმოადგენს და მის მუშაობაში აღმოცენებული ხარვეზები მუდამ განაპირობებს იმ მიუღებელ ქმედებებს, რომელთა საფუძველზეც მართვის გარკვეულ სეგმენტში კორუფციული გარემოს ჩამოყალიბება ხდება. ფსიქიკური მექანიზმების დიდი ნაწილი ფონურ რეჟიმში ფუნქციონირებს და ყოველგვარი გაცნობიერების გარეშე ემსახურება ინდივიდების წინაშე წამოჭრილი რიგი ამოცანების გადაწყვეტას. ამ მექანიზმების გაუცნობიერებლობა ადამიანთა სასიცოცხლო ძალთა ეკონომიური გამოყენების ერთ-ერთი გამოვლინებაა და ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს. ამდენად, ადამიანი ხშირად იქცევა მისი გამომწვევი მექანიზმების გაცნობიერების გარეშე ანუ ცნობიერი კონტროლის გარეშე. ამ არაცნობიერ ფსიქიკურ მექანიზმებს თავიანთი ჩამოყალიბების პრეისტორია გააჩნიათ და საკმარისი სტაბილურობითაც გამოირჩევიან. სწორედ ისინი ქმნიან ღრმა

გენეტიკურ მოცემულობასთან ერთად ადამიანთა ინდივიდუალობას და ბევრწილად განსაზღვრავენ მისი ქცევების თავისებურებას. კორუფციული ქცევის მექანიზმებიც დიდი ხნის მანძილზე სპეციფიკურ გარემოშია ჩამოყალიბებული და განმეორებადობის ძლიერი ტენდენციაც გააჩნიათ. მათი შეჩერება ან კიდევ აღკვეთა მარტივ ამოცანას არ წარმოადგენს და განსაკუთრებულ მიდგომასაც მოითხოვს.

საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ კორუფციის წინააღმდეგ მხოლოდ აკრძალვის მექანიზმების შემოღება სასურველ შედეგს საერთოდ არ იძლევა განსაკუთრებულ შემთხვევებში გარდა, როდესაც ამისთვის სიკვდილით დასჯა ხდება. ამის მაგალითია **სინგაპური**, **ჩინეთი** და კიდევ ზოგიერთი სხვა აზიური ქვეყანა. იმის მიუხედავად, რომ სხვა ქვეყნებში ასეთი მკაცრი ზომები არ გამოიყენება, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ყველგან ინტენსიურად მიმდინარეობს. ზოგადად კორუფცია წარმოადგენს უკანონო შემოსავლის მოპოვების წყაროს და იგი უნდა შეიცვალოს შემოსავლის კანონიერი მოპოვების წყაროთი, რათა არ გამოიწვიოს კიდევ უფრო მძიმე და გამოუსწორებელი კრიმინალური ქმედებები. ყველა კორუფციული მოქმედების წარმმართველი მექანიზმი ძალიან დიდი სიმტკიცით გამოირჩევა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მისი ჩამოყალიბების პროცესის გამო და ასეთივე ხანგრძლივი დროის განმავლობაში უნდა ხდებოდეს მისი ზეგავლენისგან განთავისუფლება, რაც სრულიად არარეალურია და ამიტომ ყოველთვის ძალაშია ამ აქტივობების პირველი ვარიანტი.

ადამიანის ქცევის წარმმართველი ისეთი მექანიზმებიდან გამომდინარე, რომლებსაც ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორია აქვთ, მისი ქცევები ვერაფრით ვერ შეიცვლება გინდა პოზიტიური იყოს და გინდა ნეგატიური. უმრავლეს შემთხვევაში ადამიანები იქცევიან თვიანთი წარსულის კარნახით, ვინაიდან ეს მათთვის გაცილებით უფრო მეტი გარკვეულობის შემცველია და გაურბიან განსხვავებულ ქცევებს, რომლებიც მეტი გაურკვევლობის შემცველები არიან. ეს არის ის ბიოლოგიურო ლოგიკა, რომელსაც ექვემდებარებიან ადამიანებიც და ცხოველებიც. ევოლუციურმა პროცესმა მოახდინა ამ მექანიზმების ჩამოყალიბება და ისინი ყოველთვის სტერეოტიპულად მოქმედებენ. აქედან გამომდინარე, ვერავინ გადააჩვევს ადამიანებს ამ მექანიზმების კარნახით მოქმედებას და ეს ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია. ნაკლები დანახარჯების გაღებით მეტი სარგებლის მიღებისკენ სწრაფვა ერთ-ერთი ფუნდამენტური მექანიზმია და ძალაშია კორუფციულ სიტუაციებშიც. რაც უფრო მეტი ხანი უხდება ადამიანს ასეთ სიტუაციებში მოქმედება, მისთვის მით უფრო შეუძლებელი ხდება განსხვავებული წესით მოქმედება. ამიტომ მისთვის სარგებლის მიღების შესაძლელობის აღკვეთა შედეგის მომტანი ვერ ინება, ვინაიდან იგი განსხვავებული წესით იგივე სარგებლის მიღების წესით გააგრძელებს თავის მოქმედებას, ვინაიდან მისი ფსიქიკა სხვაგვარად ვერ ფუნქციონირებს. ამ ქცევის შეჩერება შეუძლია მხოლოდ ფიზიკური იძულების გამოყენებას, რომელიც დამატებით გარემოებების არსებობას საჭიროებს სასამართლოს ჩართულობის პირობებში. სანამ აქამდე მივიდოდეს საქმე, მანკიერი ქცევის შეცვლის

პერსპექტივა მინიმალურია. ამიტომ ბუნებრივ ტენდენციებს ყოველთვის ყურადღება უნდა ექცეოდეს. არავის არაფერი არ უნდა წაერთვას ისე, რომ სანაცვლოს შეთავაზება არ ხდებოდეს, ვინაიდან იგი კორუფციაზე ფოკუსირებული თავისი ცნობიერების საფუძველზე კიდევ უფრო უარეს კორუფციულ საქმიანობას განახორციელებს. აქედან გამომდინარე, კორუფციის აღკვეთა უნდა იყოს ჩანაცვლებითი და მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება მოხდეს მისგან განთავისუფლება.

კორუფციის გამომწვევ მიზეზებზე და ხელშემწყობ ფაქტორებზე საუბარი მხოლოდ ფსიქოლოგიური პლათფორმიდან არის შესაძლებელი. სამართალი ამ შემთხვევაში უძლურია. კორუფციის მიზეზების გაანალიზების შესაძლებლობას და მისი დაძლევის მექანიზმების მიგნების შესაძლებლობას მხოლოდ ფსიქოლოგიის დარგი იძლევა, ვინაიდან მართლმსაჯულება მის ხელთ არსებული სამართლებრივი ინსტრუმენტებით მხოლოდ კორუფციის ფაქტებზე რეაგირებით შემოიფარგლება და არ ეხება ქმედებათა მიზეზებს. ფსიქოლოგიის დარგი არკვევს კორუფციული ქცევის მიზეზებს, ხოლო სამართალი მუშაობს კორუფციული ქცევის შედეგებთან. სანამ საქმე სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების დადგომამდე მივა, მანამდე ძალიან ბევრი რამ ფუჭდება ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიურ მექანიზმებში და მას თანდათანობით უყალიბდება დამნაშავის ფსიქოტიპი.

დიდი მოაზროვნის <u>**რენე დეკარტეს**</u> მიხედვით: **„მცირე ცვლილება დასაწყისში იწვევს დიდი ცვლილებებს ბოლოში“** [6]. ეს მარტივი და გენიალური სიბრძნე სხვაგვარადაც შეიძლება გადმოიცეს - მცირედი ცვლილებები მიზეზებში იწვევს დიდ ცვლილებებს შედეგებში; მცირედი შეცდომები მიზეზებში იწვევს დიდ შეცდომებს შედეგებში; კორუფცია ნეგატიური მოვლენაა და როგორც შედეგი გამომდინარეობს გამომწვევი მიზეზების მცდარობიდან! ადამიანის ქცევის განმსაზღვრელ ფსიქიკურ მექანიზმში მომხდარი მცირე პოზიტიური ცვლილება იწვევს დიდ პოზიტიურ ცვლილებებს მიღებულ შედეგებში, რაც გასათვალისწინებელია მართლმსაჯულებაში ადამიანთა კანონიერი (პოზიტიური) ქცევების მხარდაჭერის მიზნებისთვის.

როგორც უკვე აღინიშნა, კორუფცია სასამართლოში სრულიად ანომალური მოვლენაა, რაც მოითხოვს ქმედითი და საფუძვლიანი მექანიზმების ამოქმედებას მისი აცილების მიზნით. ეს მექანიზმები მხოლოდ სამართლებრივი პოზიციებიდან გამომდინარე ვერ ჩამოყალიბდება. საჭიროა მომიჯნავე დარგების (მაგალითად ფსიქოლოგიის დარგის) პოზიციათა მოშველიება, რათა დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევ მიზეზებთან უფრო ახლო მისვლა მოხერხდეს. როგორც ცნობილია, სამართალი პირის მიერ ჩადენილ ქმედებებზე ანუ მომხდარ ფაქტებზე აპელირებით ცდილობს დანაშაულებრივი ქცევის დესტრუქციულობის ხარისხის დადგენას, რაც არ არის საკმარისი ამ ქცევის გამომწვევი მიზეზების დადგენისთვის და სწორი გადაწყვეტილების მიღებისთვის. იურიდიული სფეროსგან განსხვავებით, ფსიქოლოგია პირველ რიგში იკვლევს დანაშაულებრივი ქცევის მიზეზებს და ამის საფუძველზე უფრო გასაგებს ხდის ამ ქცევის შედეგად

მომხდარი ფაქტების თავისებურებას, რის შედეგადაც უკვე შესაძლებელი ხდება უფრო ადეკვატური და პროპორციული სასჯელის დაწესება.

ზემოთ განვითარებული მსჯელობებიდან და კორუფციული შედეგების გამომწვევი **ფსიქიკური მიზეზების** დახასიათებიდან გამომდინარე, სასამართლოში კორუფციის შემცირების საპატიო ამოცანას შეიძლება გამოეძებნოს დადებითად გადაწყვეტის შესაძლებლობა, ვინაიდან კორუფციის ფსიქოლოგიურ მიზეზებთან მუშაობა უფრო გაადვილებულია და ეფექტიანია, ვიდრე მუშაობა აღნიშნული მიზეზებით გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებთან. მიზეზის შესწორება უფრო რეალისტურია და ადვილია, ვიდრე მისგან გამოწვეული შედეგის გამოსწორება. ქმედების მიზეზის შეუსწორებლად ყოველთვის საქმე გვექნება იგივე ნეგატიური შედეგის დადგომასთან და ეს მარტივი ჭეშმარიტება, როგორც წესი, მუდამ დამაჯერებლად მტკიცდება მდიდარი პრაქტიკით.

ადამიანთა ქცევებში გამოვლენილი გაუცნობიერებელი და მყარი ტენდენციების გამო, სასამართლო საქმისწარმოებაში გამოსაყოფია ან შესაქმნელია ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც მაქსიმალურად მოემსახურება სამართლიანობის მიღწევას, მოსარჩელის დარღვეული უფლებებისა და სტატუსის აღდგენას. ამასთან ერთად, რაც მთავარია, მოსარჩელისთვის აუცილებლად დასაბრუნებელია მისთვის წართმეული, მითვისებული სიკეთეები, რომლებიც საბოლოოდ ფინანსებში უნდა გამოიხატებოდეს. ეს მექანიზმები შეიძლება იყოს შემდეგი:

1) თუკი სასამართლოს საქმიანობაში კანონდარღვევების ჩადენის შემთხვევაში მათი გამოსწორებისთვის არ მიიღება აუცილებელი ზომები, მაშინ მისი დამოუკიდებლობა მაკონტროლებელი ან სამართალდამცავი ორგანოს მოთხოვნით ავტომატურად წყვეტს თავის მოქმედებას ამ კანონდარღვევის სრულ გამოსწორებამდე, რაც მაქსიმალურად შეესატყვისება მოქმედ კანონმდებლობას. ასე **გაკონტროლებული დამოუკიდებლობა** სასამართლო კანონდარღვევების პრევენციის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. როდესაც კონტროლი სულ არ ფუნქციონირებს, სასამართლოს და მოსამართლეებს ეკარგებათ ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა, იგი გადადის თვითნებობაში და ექცევა დამნაშავე მოპასუხის კორუფციული ზეგავლენის ქვეშ. ხოლო როდესაც კონტროლი მუშაობს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესანარჩუნებლად, სწორედ მაშინ ხდება მოსამართლე დამოუკიდებელი და სრულებით თავისუფლდება მავნე მოპასუხის კორუფციული ზეწოლისგან. როდესაც წესიერად მომუშავე მოსამართლეს უფასდება გაწეული მუშაობა და მოსარჩელის მიერ ღირსეულად ჯილდოვდება დამნაშავე მოპასუხისგან დაბრუნებული ფინანსებიდან, მაშინ ეს აქტი ემსახურება სახელმწიფო ინტერესს და ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს.

2) როგორც მდიდარი პრაქტიკა აჩვენებს, კანონების დარღვევა, კერძოდ კორუფცია, როგორც წესი, უფრო „შემოსავლიანი“ საქმიანობაა, ვიდრე კანონების დაცვა და ამიტომ ადამიანები ხშირად პირველს ამჯობინებენ. ასეთმა არაკანონიერმა ტენდენციებმა რომ არ დააღრვიოს საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირება, აუცილებელია ვექტორის

შემობრუნება ისე, რომ სწორედ კანონის დაცვა გახდეს ფინანსურად უფრო მომგებიანი. ადამიანთა ნეგატიური და დესტრუქციული მოტივაციის გარდაქმნა პოზიტიურ და კონსტრუქციულ მოტივაციად რეალურია, თუკი შეიქმნება სათანადო ფინანსური გარემო. კერძოდ, სასამართლოში უნდა არსებობდეს სამართლებრივად პოზიტიური ქმედებების ფინანსური წახალისების ლეგალიზების შესაძლებლობა. ამისთვის საჭირო ფინანსებს სახელმწიფოსგან გამოყოფა არ ესაჭიროება. იგი უნდა ფორმირდებოდეს საქმის ღირებულებისა და მოპასუხის მიერ მოსარჩელისთვის მიყენებული ფინანსური ზარალის მოცულობიდან. სხვა სიტყვებით, მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელის წინაშე ფინანსური ვალდებულებები მისგან ფინანსების მითვისების ფაქტის გამო;

3) დამნაშავე მოპასუხის მიერ მოსარჩელისგან არაკანონიერად და სხვადასხვა ფორმით მითვისებული საფინანსო სახსრები ქმნის იმ აუცილებელ ბაზისს, რომელიც საქმის კეთილსინდისიერი სასამართლო გადაწყვეტილების შემთხვევაში უნდა დაუბრუნდეს მოსარჩელეს, რაც, ცხადია, არასასურველი პროცედურაა დამნაშავე მოპასუხისთვის, ხოლო მისგან სასამართლოზე განხორციელებული სხვადასხვა ფორმის „ძალადობა“ არ უნდა იყოს ზემოაღნიშნული სამართლიანი ქმედების შეფერხების საფუძველი. საქმის განხილვა უნდა ხდებოდეს კანონმდებლობის მოთხოვნათა კომპლექსური გააზრებით და მათი სრულყოფილი (არა ფრაგმენტული) გამოყენებით;

4) კორუფციული ქმედებებისთვის დაწესებული სასჯელები უნდა გამკაცრდეს, რაც შექმნის პოზიტიურ და კონსტრუქციულ ქმედებებზე გადართვის ძლიერ სტიმულებს მათთვის, ვინც თავის ცხოვრებისეულ საჭიროებათა მოსაპოვებლად კორუფციის გარდა სხვა შესაძლებლობებს ვერ ხედავენ. სასჯელის გამკაცრება მათ უბიძგებთ ზედმიწევნით კანონიერების დაცვის მეტი მომგებიანობის სასარგებლო აზროვნების წესის ჩამოყალიბებისკენ. მისი განმტკიცების ხელშემწყობი გარემოს შექმნა აღნიშნულ პოზიტიურ ტენდენციას განამტკიცებს და რეალობად აქცევს;

5) ხშირ შემთხვევებში, როდესაც მავანთა მიერ მითვისებული ფინანსები ძალიან დიდ მოცულობებს არ აღწევს, მათი კორუფციული შემოსავლების წყაროების აღკვეთა უნდა ხდებოდეს შემოსავლების ალტერნატიული წყაროების შეთავაზებასთან ერთად. ე.ი. უნდა მოხდეს შემოსავლის არაკანონიერი წყაროს კანონიერი წყაროთი ჩანაცვლება. ასეთი ჩანაცვლების გარეშე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას შედეგი ვერასოდეს ვერ ექნება. პირიქით, იგი უფრო მძიმე ფორმებს მიიღებს, ვინაიდან ზემოაღნიშნული კატეგორიის ადამიანებისთვის აუცილებელი შემოსავლის ეს არაკანონიერი წყაროები მათ ეგზისტენციალური საჭიროებების დაკმაყოფილებას ემსახურებიან და დიდი სიმტკიცითაც გამოირჩევიან. ფინანსების ძალიან დიდი მოცულობით მიტაცების შემთხვევებში კი, როდესაც ისინი ბევრად აღემატება ეგზისტენციალურ საჭიროებებს, ცალსახად და უკომპრომისოდ უნდა ხდებოდეს მკაცრი სასჯელების დაწესება;

6) მორალი, სამართლიანობა და კანონიერება უნდა გამოცხადდეს სასამართლოს უმაღლეს ღირებულებებად, რომლებსაც უნდა განამტკიცებდეს ზემოაღწერილი ღირსეული დაჯილდოების სისტემა საგანგებოდ შემუშავებული სკალის მიხედვით;

7) კეთილსინდისიერი მოსამართლის მიერ მიღებული კანონიერი გადაწყვეტილება დამნაშავე მოპასუხის მიერ მოსარჩელისთვის სხვადასხვა მექანიზმით წართმეული საფინანსო სახსრების დაბრუნების სასარგებლოდ, მოსარჩელისგან სათანადოდ უნდა იქნას დაფასებული, რასაც უნდა მიეცეს ოფიციალური, სამართლებრივი მხარდაჭერა. სამართლიანობის აღდგენის მიზნით მოსარჩელისთვის დაბრუნებული **ფინანსური რესურსები** (არმიღებული ხელფასები (განაცდური), ჯანმრთელობის, სოციალური, პროფესიული და მორალური ზარალების ფინანსური კომპენსაცია) **გასანაწილებელია მოსარჩელესა და სასამართლოს შორის** მოპასუხის მიერ მითვისებული ფინანების და ასევე მოსარჩელის დაზარალების საკომპენსაციოდ სასამართლოს მიერ მოპასუხეზე დაკისრებული ფინანსური ვალდებულებების ერთიანი მოცულობიდან.

ასეთი ლეგალური საფინანსო მექანიზმის ამოქმედებით სასამართლო ჩამოყალიბდება საზოგადოებისთვის იმედისმომცემ ინსტიტუციად, ხოლო მოსამართლეები გახდებიან საზოგადოების მიერ ძალიან დაფასებული და მისი ყოველმხრივ ღირსეული წევრები.

ზემოთ ნათქვამი მეტი დამაჯერებლობისთვის საჭიროებს დამატებით განმარტებებს. ადამიანთა მრავალფაქტორიანი ქცევების გაანალიზების შედეგად მივდივართ შემდეგ დასკვნამდე, რომ როგორც ფილოგენეზში ჩამოყალიბებული ქცევების განმსაზღვრელ მექანიზმთა, ისე ონტოგენეზის პროცესში ჩამოყალიბებული ქცევების განმსაზღვრელ მექანიზმთა უპირობო დომინანტობის გამო ადამიანების მაღალი დონის ქცევები, უპირველეს ყოვლისა, განხილული უნდა იყოს ხსენებული მექანიზმების ლოგიკის ფარგლებში, რაც აკმაყოფილებს **ბაზისური** მოვლენების უპირატესი ფუნქციობის აუცილებელ პირობას. რაც შეეხება უფრო განვითარებული ქცევების განმსაზღვრელ მექანიზმებს, ისინი **ზედნაშენი** მოვლენების ფუნქციობის დონეზე უნდა იხილებოდეს, რომელთა არსებობაც (საკმარისობის პირობების შესაბამისად) მხოლოდ მაშინ ხდება შესაძლებელი, როდესაც ბაზისური მექანიზმები არის ამოქმედებული. მოვლენათა შეფასებისთვის აუცილებელი და საკმარისი პირობების დაკმაყოფილება არის მისი სრულყოფილად შეცნობის საწინდარი. თუკი ბაზისური მოვლენები დომინანტურ როლს ინარჩუნებენ ადამიანთა აქტივობებში, მაშინ პირველ რიგში ჯერ ისინი უნდა იყოს გათვალისწინებული ამ აქტივობებში და შემდეგ უნდა ხდებოდეს ყურადღების გამახვილება უფრო მაღალი დონის (ზედნაშენ) მოვლენებზე. ეს არის ძალიან ზოგადი კანონზომიერება, რომელიც გამოიყვანება სოციალური პროცესების გაანალიზებიდან და ისეთი გამოჩენილი მეცნიერების ნააზრევიდან, როგორებიც არიან: **უილიამ ჯემსი** [12], **ზიგმუნდ ფროიდი** [7], **კარლ იუნგი** [14], **აბრაამ მასლოუ** [17], **ჟან პიაჟე** [19], **დიმიტრი უზნაძე** [25] **და სხვ.** აღნიშნული მეცნიერები სხვადასხვა თეორიების და მიმდინარეობების ფუძემდებლებად კი გვევლინებიან, მაგრამ ეს კანონზომიერება მათთან მუდმივად შენარჩუნებულია. იგი აუცილებელ გათვალისწინებას საჭიროებს, თუკი არსებობს ადამიანის ქცევის შესახებ უშეცდომო დასკვნების კეთების ინტერესი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადამიანები პირველ რიგში ფუნდამენტური ფაქტორების ზეგავლენით მოქმედებენ და მხოლოდ ამის შემდეგ მოქმედებენ ე.წ. „სიტუაციური“ ფაქტორების ზეგავლენით. ამ ფაქტორტთა შინაარსში პირველ რიგში აღსანიშნავია მოტივაცია, რომლის გარეშეც ადამიანთა აქტივობის წარმოდგენა ძალიან გაჭირდება. ქცევის ფუნდამენტურ მექანიზმებში ჩართული მოტივაცია უფრო მეტი სიძლიერით გამოირჩევა მისი განმტკიცების უფრო ხანგრძლივი პრეისტორიის გამო და ამიტომ მასზე აპელირებით უფრო მეტი შედეგის (სარგებლის) მიღწევა არის შესაძლებელი, ვიდრე მეორე შემთხვევაში. ამიტომ, როდესაც საჭირო ხდება ადამიანის მოქმედების მოტივის დადგენა, პირველ რიგში უნდა ვიგულისხმოთ მასში ძირეული მოტივაციის მონაწილეობა. ეს ლოგიკა უდავოდ მართებულია აგრეთვე სასამართლო განხილვების შემთხვევაშიც მოსამართლის მამოძრავებელი მოტივის შესახებ სწორი წარმოდგენის ჩამოსაყალიბებლად. მიზანი კი არის მისი ამ ტიპის მოტივაციის გააქტიურება საქმის განხილვის პროცესის სამართლიანი და კანონიერი მიმართულებით განვითარების მისაღწევად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმის სამართლიანად და კანონიერად განხილვა უნდა გადაიქცეს მოსამართლის საქმიანობის წარმმართველ მოტივაციად.

სასამართლო დამოუკიდებელ სახელისუფლებო შტოს წარმოადგენს, რომლისთვისაც ლეგიტიმაციის მიმნიჭებელი წყარო მხოლოდ ხალხის მიერ არჩეული პარლამენტია, ვინაიდან მოსამართლეების არჩევა ხალხის მიერ არ ხდება. აქედან საფუძველშივე ნათელია, რომ სასამართლო სრულიად დამოუკიდებელი ვერანაირად ვერ იქნება ანუ თავისი დამოუკიდებლობის შემოქმედი (თვითშემოქმედი) ვერ გახდება. ეს კარგად გასაგები უნდა იყოს პირველ რიგში მოსამართლეებისთვის, რომლებიც ამ მხრივ დიდი ერთგვაროვნებით არ გამოირჩევიან და ზოგჯერ ადგილი აქვს დადგენილი წესიდან სამწუხარო გადახვევებს. მოსამართლე წარმოადგენს იმ სასამართლო ხელისუფლებაში მოღვაწე პირს, რომელიც თავად არ არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი და ამიტომ მოსამართლის დამოუკიდებლობა კიდევ უფრო შეზღუდული გამოდის. ამ გარემოების გაცნობიერება ყველა მოსამართლის უპირველეს ვალდებულებას წარმოადგენს და ამ თვალსაზრისით მათგან მოითხოვს დამოუკიდებლობაში გონივრული ზომიერების დაცვას, რისი მიღწევაც ყოველთვის ვერ ხერხდება. ვერ ხერხდება იმიტომ, რომ არც პარლამენტის დამოუკიდებლობა არის ადეკვატურად გაცნობიერებული. ისიც კი არ არის დამოუკიდებელი, ვინაიდან დამოკიდებულია ხალხის ნებაზე, არჩევანზე და პასუხისმგებელია მის წინაშე. აქედან გამომდინარე, სრულიად დამოუკიდებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ხალხი, ხოლო ქვეყანაში მოქმედი ყველა ინსტიტუცია მასზეა დამოკიდებული ამ დამოუკიდებლობის კლებადი ხარისხით. მოცემულ შემთხვევაში „ინსტანციებსა“ და ინსტიტუციებს შორის მიმართებები ასეთია:

ხალხი > პარლამენტი > სასამართლო > მოსამართლე.

ამრიგად, მოსამართლეს დამოუკიდებლობის ყველაზე დაბალი ხარისხი გააჩნია და ამიტომ იგი საჭიროებს მისი მუშაობის გამართულობაზე ყურადღების გამახვილებას

აღნიშნული 3 ზემდგომი ინსტანციის მხრიდან. ამ დაქვემდებარების საპირისპირო განლაგების მცდელობები, რასაც ხშირად ადგილი აქვს მოსამართლის უფლებების გადაჭარბებული შეფასების შემთხვევებში, წარმოადგენს იმ სამწუხარო გაუგებრობას, რომელსაც ადამიანთა შეცდომაში შეყვანის გარდა სხვა დანიშნულება ვერ მოეძებნება.

მოსამართლის „მითიური“ დამოუკიდებლობა სავარაუდოდ მოგონილია კორუფციის არსებობის უზრუნველსაყოფად და მისი შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე, ვინაიდან იგი ემსახურება პირთა ბაზისური მოტივაციის დაკმაყოფილების ამოცანებს. ეს არის ძლიერი მოტივაციის ისეთი შემთხვევა, როდესაც მოსამართლეზე ზეგავლენის მოხდენა სადავო საქმის განხილვის გაუმჯობესების მიზნით სასურველ შედეგს მაინც ვერ აღწევს. მოტივაციის ტრანფორმაციის გარეშე ეს მიზანი მიღწეული ვერ იქნება. რაც შეეხება მოტივაციის ტრანფორმაციას, ამისთვის ჯერ საჭიროა, რომ სასამართლოში ამოქმედდეს მოსამართლეთა მუშაობის პერმანენტული კონტროლის „პროგრამა“ და შესაბამისი სამსახურები, რომლებიც გააკონტროლებემ იმას, რომ მოსამართლეებმა არ მოახდინონ დადგენილი წესებიდან და კანონებიდან გადახვევა, კანონმდებლობის მოთხოვნები დაიცვან სრულყოფილად და არა ფრაგმენტულად. მოსამართლეების მუშაობის პერმანენტული გაკონტროლება მოემსახურება მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, რათა არ მოხდეს დამნაშავე პირების მიერ არაკანონიერ ქმედებებზე მათი დაყოლიება და თავიანი დამოკიდებულების ქვეშ მოქცევა კანონმდებლობაზე მისი სრული დამოკიდებულების სანაცვლოდ. ამრიგად, მოსამართლეების მუშაობის გაკონტროლება კანონმდებლობასთან მაქსიმალური სიახლოვის მიღწევის მიზნით, მათი დამოუკიდებლობის საწინდარი და გარანტორია. ყველა სხვა შემთხვევებში ისინი დამოკიდებულები აღმოჩნდებიან დამნაშავე მოპასუხეებზე და მათ მავნე ქმედებებზე.

სასამართლოში არსებული ამ რთული ვითარებიდან ერთადერთ ქმედით გამოსავალს წარმოადგენს მოსამართლეთა შრომითი მოტივაციის ისეთი ტრანსფორმაციისთვის ხელის შეწყობა, რომ კანონმდებლობის მოთხოვნათა მაქსიმალური დაკმაყოფილების რთული ვალდებულება მათ გადაექცეთ კანონის დაცვის პოზიტიურ მოტივაციად, რომელიც სრულიად ლეგალურად ფინანსური მექანიზმებით განმტკიცებული იქნება. საჭიროა მოსამართლის მიერ კანონის სრული დაცვით საქმის განხილვის პროცესის იმ დონემდე მიყვანა, რომ დამნაშავე მოპასუხის მიერ მაქსიმალურად კომპენსირებული იყოს უფლებადარღვეული მოსარჩელისთვის მიყენებული ყველანაირი სახის ზარალი, რომელიც გამოხატული იქნება ფინანსებში (ამ ფინანსებში შედის როგორც წართმეული ხელფასები, ისე ფინანსებში კონვერტირებული ზარალები, როგორებიცაა სოციალური, პროფესიული, ჯანმრთელობის და სხვ.). ამ კომპენსირებული ფინანსების განაწილება უნდა მოხდეს მოსარჩელესა და მოსამართლეს (სასამართლოს) შორის შეთანხმების საფუძველზე. ყველაფერზე უდავოდ უნდა იქმნებოდეს ოფიციალური იურიდიული დოკუმენტაცია. ამის შედეგად მკვეთრად შეიზღუდება დამნაშავე მოპასუხის მიერ სასამართლოსთან კორუფციული ოპერირება და სასამართლო თანდათან გადაიქცევა

საზოგადოებისთვის ყველაზე პრესტიჟულ ინსტიტუციად. ასეთი კეთილშობილური შესაძლებლობის არგამოყენება გამოუსწორებლად მნიშვნელოვანი დანაკარგი იქნება მთელი საზოგადოებისთვის და ამის შედეგად ქვეყნის უფრო უკეთესი მომავლისთვის.

თუკი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით მოხდება მოსარჩელისთვის წართმეული ფინანსების მისთვის დაბრუნება და აგრეთვე მისთვის მიყენებული ყველა სახის ზარალის (სოციალური, მორალური, პროფესიული, ჯანმრთელობის და სხვ.) ფინანსური კომპენსირება, მაშინ მოსარჩელეს უნდა შეეძლოს, რომ სასამართლოს მიერ მისთვის დაბრუნებული <u>ფინანსების ნაწილი ღირსეული ჰონორარის სახით</u> სრულიად ლეგალურად გადასცეს მოსამართლეს სათანადო დოუმენტაციის გაფორმებით და ყოველგვარი ფარული პროცედურების გარეშე. ეს მოემსახურება ფსიქოლოგიური მექანიზმის - <u>„მიგების“</u> - რეალიზებას (მიღებულ სიკეთეზე იგივე სიკეთით პასუხი), რაც მოსარჩელის მადლიერების გამოხატულება იქნება მოსამართლისგან მიღებულ კანონიერ სიკეთეზე. თავის მხრივ, მოსამართლეს უჩნდება პოზიტიური მოტივაციის დაკმაყოფილების შესაძლებლობა, რითიც იგი უფრო მეტი კმაყოფილებით ჩადგება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაკმაყოფილების სამსახურში დამნაშავე მოპასუხის კორუფციული ზეგავლენებისგან განთავისუფლებით. ამ აქტით მხოლოდ და მხოლოდ ამაღლდება მოსამართლის პრესტიჟი, სასამართლო გადაიქცევა სამართლიანობის დაცვის ადგილად, ხოლო საზოგადოებას მოეხსნება მადეზორგანიზებელი სტრესები, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარების ტემპების გაუმჯობესებას.

მოსამართლისთვის დამსახურებული ჰონორარის ლეგალურად გადაცემის უფლება გასაცემია ქვეყანაში მოქმედი ლეგიტიმაციის ინსტანციების მიერ: <u>(ა/ ან პარლამენტის, ბ/ ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, გ/ ან სასამართლოს ხელმძღვანელის მიერ).</u> თუკი მოსამართლეებზე არ იქნება დაწესებული ამ ინსტანციების მხრიდან კონტროლი მათი საქმიანობის შესაბამისობაზე კანონმდებლობასთან, მაშინ ისინი ვერც კი გახდებიან დამოუკიდებლები და აუცილებლად მოექცევიან კორუფციის მავნე ზეგავლენის ქვეშ, ვინაიდან, ზოგადად, ადამიანებს და კონკრეტულად მოსამართლეებს ახასიათებთ ადამიანური „სისუსტეები“ და ადვილად ექვემდებარებიან ზემოაღწერილ ქცევისეულ, არაცნობიერ და ნეგატიურ ტენდენციებს. როდესაც მათ უხდებათ მუშაობა გარემოში, სადაც მათზე კონტროლი არ ხორციელდება და მიიჩნევიან სრულიად დამოუკიდებელ სუბიექტებად, მაშინ ისინი როდესაც დგებიან ორ ალტერნატივას შორის არჩევანის გაკეთების სიტუაციაში, ყოველთვის ირჩევენ მათთვის უფრო მეტი სიადვილის და სარგებლის შემცველ ალტერნატივას, რომელიც თითქმის ყოველთვის კორუფციული შინაარსის მქონე არაკანონიერი ალტერნატივაა. მაგრამ როდესაც მსგავსი არჩევანი კეთდება კონტროლირებად გარემოში, მაშინ კორუფციული ალტერნატივა იბლოკება და ადგილი ეთმობა პოზიტიური და კანონიერი ალტერნატივის არჩევას. სწორედ ასეთი ქმედების წახალისებას ემსახურება მოსამართლისთვის (სასამართლოსთვის) ლეგიტიმურად გადაცემული ჰონორარი, როგორც მოსარჩელის მადლიერების ნიშანი

მისი დარღვეული უფლებებისა და წართმეული ფინანსების აღდგენის საპასუხოდ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაქსიმალურად ხელი უნდა შეეწყოს მოსამართლეების ნეგატიური, კორუფციული მოტივაციის ტრანსფორმირებას პოზიტიურ, კანონიერ მოტივაციაში ოფიციალური მოტივატორის - **ჰონორარის** - გამოყენების დაშვებით.

მართლმსაჯულების სისტემის მუშაობა რომ გაუმჯობესებას ითხოვს, ეს ყველასთვის ცნობილია. სწორედ ამიტომ არ წყდება საუბრები მის ნაკლოვანებებზე და აგრეთვე სასამართლოს რეფორმირების საჭიროებაზე, მაგრამ სისტემა ისევ იმავე მდგომარეობას ინარჩუნებს. ამით ვლინდება ის, რომ სამოსამართლო საქმიანობის ორგანიზებაში და მართვაში გამოტოვებულია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც მიჩნეულია მეორეხარისხოვნად და, შესაბამისად, ყურადღებას ნაკლებად იმსახურებს. ამიტომ იგი სასამართლოს რეფორმირების პროგრამებში, როგორც წესი, არ ფიგურირებს და მთელი ყურადღება გადატანილია სასამართლო საქმისწარმოების პროცედურულ ასპექტებზე. წარმატებული და ეფექტიანი სამოსამართლო საქმიანობის უზრუნველყოფისთვის დიდი ხანია შექმნილია სახელმძღვანელო პრინციპები **(„ბანგალორის პრინციპები“ [2]),** სხვადასხვა ქვეყნები ქმნიან ამ პრინციპების მოდიფიკაციებს მართლმსაჯულებაში თავ-თავიანთი სისტემების სპეციფიკის გათვალისწინებით, იქმნება სამოსამართლო მუშაობის **მარეგულირებელი კანონმდებლობა** და ა.შ. მიუხედავად ასეთი მოცულობის სამუშაოების შესრულებისა, საზოგადოება მაინც არ არის კმაყოფილი სასამართლოს როგორც მისი ინტერესების სამსახურში მყოფი ინსტიტუციის მუშაობით. ყოველივე ასე იმიტომ ხდება, რომ იურიდიული ინსტრუმენტები საკმარისი არ აღმოჩნდა საქმის გაუმჯობესებისთვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიური თავისებურებების უკეთ გააზრება, მათი სრულყოფილად გაცნობიერება და მხოლოდ ამით გამდიდრებული მიდგომით ყურადღების გადართვა სამოსამართლო მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების ამოცანების გადაჭრაზე. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს მოსამართლის მოტივაციის მექანიზმზე აპელირება და მასში პოზიტიური ასპექტის მკაფიოდ გამოკვეთა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრულყოფილი დაკმაყოფილების სასარგებლოდ. მოსამართლეს უნდა ექმნებოდეს ამის ძლიერი ინტერესის საფუძველი.

სამოსამართლო საქმიანობის ზემოთაღწერილი პრობლემები, გამომდინარე დამნაშავე სუბიექტების მიერ სასამართლოზე განხორციელებული კორუფციული ზეწოლიდან (ძალადობიდან), ჭეშმარიტად შესაძლებელია რომ გადაწყვეტილი იქნას **მოსარჩელის მიერ მოსამართლისთვის ღირსეული ჰონორარის ლეგალური (ანუ ოფიციალური) გადაცემის დაშვებით** მინიმუმ შემდეგი 2 მექანიზმის საშუალებით: **1)** დაშვებული იყოს ინდივიდუალურ შემთხვევებში მოსარჩელის მოთხოვნით; **2)** ჩამოყალიბდეს როგორც ყველასთვის სავალდებული ნორმა, რომელშიც იქნება შენარჩუნებული მოსარჩელის ფიგურირება **„ამოღებული ფინანსების“** პროცენტულ გადანაწილებაში მოსარჩელესა და მოსამართლეს (სასამართლოს) შორის. რაც შეეხება დამნაშავე მოპასუხეს, მას უნდა ევალებოდეს მხოლოდ მითვისებული ფინანსების დაბრუნება მოსარჩელისთვის სხვა

სახის კომპენსაციებთან ერთად, რომლებიც ერთიანად ქმნიან მოსარჩელისთვის მიყენებული ზარალის ჯამურ ოდენობას, გამოხატულს ფინანსებში.
ამრიგად, სასამართლოში კანონიერების განმკიცებაზე და კორუფციის შეზღუდვაზე ორიენტირებული იურიდიული მექანიზმების ამოქმედება უნდა ხდებოდეს ქცევის მოტივაციის მნიშვნელობის სრულყოფილი გაცნობიერებით და მისი ტრანსფორმაციის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი და საკმარისი პირობების შექმნით. მოპასუხის მხრიდან მოსამართლისთვის თავსმოხვეული კორუფციული მოტივაცია, რომელიც ემსახურება უფლებადარღვეული მოსარჩელის კუთვნილი რესურსების მითვისების ლეგალიზებას, შესაცვლელია მოსარჩელის კანონიერი მხარდაჭერის მოტივაციით. ეს მოტივაცია განმტკიცებული უნდა იქნას ლეგალურად მოსამართლისთვის ღირსეული **ჰონორარის** გადაცემით მოპასუხისგან მოსარჩელის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ კანონიერი მექანიზმების საფუძველზე მოთხოვნილი ფინანსური კომპენსაციებიდან. ამაზე ოფიციალური დოკუმენტაცია მუდმივად უნდა იქმნებოდეს, რაც მოსამართლის პრესტიჟის ამაღლებასაც და სამართლიანობის განცდის განმტკიცებასაც მოემსხურება.

შეჯამება

ზემოთ განვითარებული მსჯელობებიდან გამომდინარე, სრულიად ნათელი ხდება ის, რომ სასამართლოს და მოსამართლეების მუშაობის მოწესრიგებისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ იურიდიული კადრებისთვის ამ საკითხების მოგვარების მოვალეობის დაკისრება, რაც გამომდინარეობს სასამართლოს რეფორმირების არაეფექტიანობიდან. საქმე ეხება იურიდიული სფეროსთვის დამახასიათებელ ორიენტირებულობას ქცევის დანაშაულებრივ შედეგებზე, რომელიც ხელიდან უშვებს ამ შედეგების გამომწვევი მიზეზების გარკვევის შესაძლებლობას. რაც შეეხება ფსიქოლოგიას, იგი დაკავებულია ამ დანაშაულებრივი ქცევის მიზეზების გარკვევით და გააჩნია იმის რესურსები, რომ უფრო უკეთ განმარტოს როგორც კანონდამრღვევი ქცევის ფორმირების გარემოებანი, ისე ამ ქცევის გამოსწორების მექანიზმები, რაც სამართლის სფეროსთვის მიუღწევადია. ამიტომ არის ხშირად უშედეგო დანაშაულთან ბრძოლა იურიდიული მექანიზმებით, ვინაიდან სამართალი მოქმედებაში მოდის დანაშაულის ჩადენის შემდეგ და სულ არ ინტერესდება დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევი მექანიზმების შესწავლით და არც იმას ითვალისწინებს, რომ ამ მექანიზმებში ჩართული მოტივაციის ტრანსფორმაციით შეიძლება მიღწეული იქნას ქცევის ტრანფორმაციაც ნეგატიურიდან პოზიტიურამდე. ეს პირველ რიგში ეხება კორუფციას, რომელიც სასამართლოშიც აღწევს მისი იმ „მყარი“ პოზიციების გამო, რომელიც ბუნებრივ კანონზომიერებებს ეფუძნება. ესენია არჩევანის სიტუაციებში მეტი-ნაკლები სარგებლიანობის მქონე ალტერნატივებიდან ინდივიდის მიერ მეტი სარგებლიანობის მქონე ალტერნატივების არჩევის კანონზომიერებანი. ამ ბუნებრივ ტენდენციებს ვერანაირი სადამსჯელო ღონისძიებებით ვერავინ ვერაფერს მოუხერხებს თუ არ იქნა განხორციელებული დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევი მოტივაციის ტრანსფორმაცია ნეგატიურიდან პოზიტიურამდე. კორუფცია ნეგატიური

მოტივაციიდან მომდინარეობს, რომლის ტრანსფორმირება პოზიტიურ მოტივაციაში შეიძლება მხოლოდ ფინანსური დაჯილდოების კანონიერი მექანიზმის გამოყენებით მოხერხდეს. ასეთია მოსარჩელისგან მოსამართლისთვის **„ღირსეული ჰონორარის“** ლეგალური გადაცემა მოპასუხისგან მოსარჩელისთვის გამოთხოვილი და მიღებული ფინანსური კომპენსაციების მოცულობიდან, რაც მკვეთრად შეამცირებს ასპარეზს სასამართლოში მოპასუხის მხრიდან აქტიური კორუფციული მანიპულაციებისთვის. ზემოთ წარმოდგენილი **მიდგომა** ითხოვს მხარდაჭერას, რათა მრავალ სფეროში მზარდმა კორუფციამ არ გამოიწვიოს პრობლემების კრიტიკული სიჭარბე, რომლის შედეგების გამოსწორებაც ძნელი და რთული იქნება. აღნიშნულ მიდგომაზე უარის თქმა კი კორუფციის არაკანონიერი მხარდაჭერის ინტერესს გამოავლენს. შესაბამისად,

საქმის კანონიერი და ეფექტიანი განხილვით კმაყოფილ მოსარჩელეს აუცილებლად უნდა ეძლეოდეს იმის შესაძლებლობა, რომ თავისი დიდი მადლიერება ლეგალურად გამოხატოს მოსამართლისთვის და მისი მუშაობის მაკონტროლებლისთვის ღირსეული ჰონორარის გადაცემით, რომელსაც სასამართლოში ექნება ანტიკორუფციული ეფექტი.

REFERENCES

1. Abraham, J., Suleeman, J., & Takwin, B. (2018). The Psychology of Corruption: The Role of the Counterfeit Self, Entity Self-Theory, and Outcome-Based Ethical Mindset. *Journal of Psychological and Educational Research*, *26*(2), 7–32.

2. Bangalore Principles of Judicial Conduct (2018). United Nations Office on Drags and Crime, Unated Nations, Vienna

3. Buscaglia, E. (1999). An analysis of the causes of corruption in the judiciary. *Law and Policy in International Business*, *30*(4), 95–116.

4. Buscaglia, E. (2001). An analysis of judicial corruption and its causes: An objective governing-based approach. *International Review of Law and Economics*, *21*(2), 233–249.

5. Dakolias, M., & Thachuk, K. L. (2000). Attacking corruption in the judiciary: A critical process in judicial reform. *Wisconsin International Law Journal*, *18*(2), 353–453.

6. Descartes Rene (2006). A Discourse on the Method. Translated by Ian Maclean. Oxford University Press

7. Freud Sigmund (1923). Introductory lectures on psycho-analyses (J. Riviera, Trans.). London, Allend & Unwin.

8. Gloppen, S. (2011). Courts, corruption and judicial independence. In S. Rose-Ackerman & T. Søreide (Eds.), *International Handbook on the Economics of Corruption* (Vol. 2, pp. 68–95).

9. Gloppen, S. (2013). Judicial independence and corruption: Challenges in developing judiciaries. *U4 Anti-Corruption Resource Centre Brief*, *2013*(4), 1–4. CMI Publication

10. Holmberg, S., & Rothstein, B. (2012). Dying of corruption: The impact of judicial and administrative integrity on global well-being. *World Development*, *40*(1), 62–72.

11. International Commission of Jurists. (2000). *Policy framework for preventing and eliminating corruption and ensuring impartiality of the judicial system*. ICJ Executive Reports. ICJ Library

12. James W. (1950). The principles of psychology (2 vols.), New York: Holt, Renehart & Wilson.

13. Johannsen, L., & Pedersen, K. H. (2023). When corruption hits the judiciary: A global perspective on access to justice and corruption. *Oñati Socio-Legal Series*, *13*(4), 1259–1284.

14. Jung, Carl (2003). Psychology of the Unconscious, Dover Publications. New York.

15. Mahdavieh, R. (2024). Beyond the borders: The rise of judicial corruption and universal jurisdiction. *University of Miami Race and Social Justice Law Review*, *14*(2), Article 6. Miami Law Repository

16. Maseko, T. (2012). Judicial independence and the impact of corruption on human rights: A Southern African perspective. *African Human Rights Law Journal*, *12*(2), 421–443.

17. Maslow, Abraham (1970). Motivation and Personality, Longman, London.

18. Peerzada, S. A., & Khan, M. A. (2010). A study on the working of administrative law principles to curb corruption. *Criminal Law Journal*, *116*(1327), 35–42.

19. Piaget, Jean (1972). The Psychology of Intelligence. Totowa, NJ: Littlefield.

20. Torsello, D., & Venard, B. (2016). The Anthropology of Corruption. Journal of Management Inquiry, *25*(1), 34–54.

21. Transparency International. (2014). *Topic guide on judicial corruption* (Transparency International Knowledge Hub Research Product). transparencycdn.org

22. Transparency International. (2007). *Global corruption report 2007: Corruption in the judicial system*. Cambridge University Press. transparency.org

23. Voigt, S., & Gutmann, J. (2015). On the wrong side of the law – Causes and consequences of a corrupt judiciary. *International Review of Law and Economics*, *43*, 156–166.

24. United Nations Office on Drugs and Crime. (2019). *Corruption in the judiciary and the justice sector* (E4J University Module Series: Anti-Corruption, Module 12). UNODC. unodc.org

25. Uznadze, Dimitri (1977). Basic Principles of Set Theory. In Works, vol. 6, p. 263-326, Tbilisi (In georgian).

Psychoanalysis of Justice and Prospects for Improvement

(Transformation of Corruptive Motivation)

Giorgi Goroshidze

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The article attempts to show the insufficiency of the legal sphere's attention to the consequences of criminal behavior, which misses the opportunity to clarify the causes of these consequences. The field of psychology, which is engaged in clarifying the causes of this criminal behavior, has the resources to better explain both the circumstances of the formation of law-breaking behavior and the mechanisms for correcting this behavior, which are inaccessible to the legal sphere. Corruption, as one of the types of criminal behavior, also reaches the court due to the presence of strong natural tendencies in it. This tendency consists in the preferential choice of the more beneficial alternative of behavior in a choice situation, which cannot be hindered by any punitive measures until the transformation of the motivation causing criminal behavior from negative to positive is achieved. Corruption stems from negative motivation, which can only be transformed into positive motivation through the use of a legal mechanism of financial rewards. Such a legal transfer of a **"decent fee"** from the plaintiff to the judge from the amount of financial compensation transferred by the defendant to the plaintiff at the request of the court, which will sharply reduce the defendant's corrupt manipulations in court.

key words: psychoanalysis, justice, motivation, transformation, decent fee.